ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СТРАНА СОВЕТОВ — РЕСПУБЛИКА ВСЕХ НАЦИЙ — ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЛИДАРИЗИРУЙТЕСЬ!

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 165 (19606) ◆ პარასკევი, 18 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ი ჯ ა რ ა საკვებ მინდორში

ულ ცოტა ხნის წინათ ლიტვის მდელოებზე თიბვა იყო გაჩაღებული, ახლა კი მხოლოდ უმარჯვ მიწებზე თუ დაინახავთ მთიბავებს. რესპუბლიკის მეურნეობებს თითზე ჩამოსათვლელი დღეები დახვირდათ, რათა დაემთავრებინათ ბალახების პირველი თიბვა, დაემზადებინათ ძროხაზე ორი-სამი ტონა თივა. ლიტველმა მიწათმოქმედებმა ქვეყანაში პირველმა შეასრულეს ამ საკვების დაგროვების გეგმა. წარმატება უზრუნველყო თიბვის მონაწილეთა ინიციატივამ, დარაზმულობამ, ნაკადური ტექნოლოგიის ფართო გამოყენებამ, შრომის რაციონალურმა მეთოდებმა. და განსაკუთრებით — კოლექტიური იჯარის ათვისებამ. ერთიანი იჯარით მომუშავე ქვეგანაყოფებზე ახლა გაპიროვნებულია რესპუბლიკის საფურაჟე სავარგულების ცხრა შეათედი.

ხამეურნო ანგარიში, თვითანაზღაურება სულ უფრო აქტიურად ინერგება მიწათმოქმედთა ცხოვრებაში. აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ფართო პერსპექტივები დაუსახა ახლებურად მუშაობას, გაზარდა ადამიანთა დაინტერესება იმით, რომ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიონ შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯებით. ახლა კოლექტიური იჯარის პრინციპით უკვე შეიარაღდა თითქმის ოთხმოცდაათი ათასი საკვებდამამზადებელი ქვეგანაყოფი, და იქ, სადაც ისინი მოქმედებენ, როგორც წესი, უკეთ იყენებენ მიწას, ტექნიკას, უფრო ეფექტიანია წარმოება. მაგალითად, ბელოზერსკის რაიონის ხერხონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში უგანწესო რგოლები ჰექტარზე ორ და ნახევარ ათას ცენტნერ საკვებ ჭარხალს იღებენ.

განსაკუთრებით ეფექტიანია ეგრეთ წოდებული გამჭოლი იჯარა. ამ დროს საკვებდამამზადებლების, მეცხოველეების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურება უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსათვის მიყიდული ფეცხოველეობის პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე. სტავროპოლის კოლმეურნეობა „კოლოსში", მაგალითად, სტიმულირების ახალმა ფორმამ მკვეთრად გაუმჯობესა რძის წარმოების და მეცხვარეობის მაჩვენებლები. მიწათმოქმედები ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ მათს განვითარებაში, ხოლო მეცხოველეები მეტად ზრუნავენ საფურაჟე ბაზის შექმნისათვის.

სოფლად მოქმედი თანამედროვე ეკონომიკური მექანიზმი საშუალებას იძლევა ყველგან გავრცელდეს კოლექტიური იჯარა, სამეურნეო ანგარიშის პრინციპები საკვებ წარმოებაში. მაგრამ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმის აშკარა უპირატესობის მიუხედავად, მას ზოგან ჯერ კიდევ უგულებელყოფენ, ნელა ან ფორმალურად ნერგავენ. პრაქტიკა კი ცხადყოფს, რომ საფურაჟე კონვეიერში ხარვეზები ყველაზე ხშირად სწორედ იქ გვხვდება, სადაც არ ზრუნავენ პროგრესულ სიახლეთა გამოყენებაზე, ივიწყებენ ინტენსიურ ტექნოლოგიებს, ზღუდავენ კოლექტივების უფლებებს. უკვე არაერთხელ გაუკრიტიკებიათ თურქმენეთის, ყარაყალპაყეთის, დაღესტნის, ფსკოვის, ნიკოლაევის ოლქის პარტიული, სამეურნეო ორგანიზაციები ინერტულობისათვის, სამეურნეო ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა მოუქნელობისათვის ხაკვების დამზადებისას, შრომის კოლექტიური ფორმის შეუფასებლობისათვის, მაგრამ მდგომარეობა თითქმის არ იცვლება. მეტწილ მეურნეობებში კვლავ სუსტად იყენებენ ხარჯსაწინააღმდეგო მექანიზმს, ნელია თიბვის ტემპი, არ უჭირობენდება მომარაგებული ფურაჟის ხარისხი.

ნელა ამზადებენ საკვებს ყირგიზეთში, სომხეთში, ვინიცის, ტულის, რიაზანის ოლქებში. კარგი ბალახი მოვიდა ციმბირის ბევრ რაიონში. მაგრამ აქაც არიან დაცდის მომხრენი, რომლებიც ივიწყებენ გასული წლის ხეზონს, როცა აუღებელი საკვები თოვლმა დაფარა. ვერ შევურიგდებით სამუშაოთა გაჭიანურებას მინდვრებში. პარტიული ორგანიზაციები, აგრომრეწველი ვალდებული არიან შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღონ უფაიათობის, თვითდამშვიდების, დაუდევრობის წინააღმდეგ. არ უნდა დავუშვათ, რომ ცუდად გამოიყენებოდეს ტექნიკა, რეხურსები. ზამთარს გვარიანი ბადი აქვს. ყოველი მუჭა ბალახი დროულად უნდა ავიღოთ, დავამზადოთ. მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა უნდა მიაღწიონ, რომ საკვებდამამზადებელი რგოლები და ბრიგადები სრული ძალით მოქმედებდნენ, ფართოდ იყენებდნენ კოლექტიური იჯარის უპირატესობებს. თიბვის სამუშაოებში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ელიან ქალაქის მოსახლეობის, შეიარაღებული ეშელონების, ბანკოსტუდენტების, ინჟინერ-ტექნიკოსების, ინჟინერ-ეკონომისტების, ექიმ

საქმე — მთავარი გამოცდელი

გაიმართა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი და აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

— განვლილ იქნს თვეში, — თქვა მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ, — სამრეწველო პროდუქციის წარმოების მატებამ წინა წელთან შედარებით 2,9 პროცენტი შეადგინა. კარგი მდგომარეობაა მანქანათმშენებლობის საწარმოებში, სადაც წარმოების მოცულობა 12,2 პროცენტით გაიზარდა. არაბელსაყარელი ამინდის მიუხედავად ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში დამაიმედებელი მდგომარეობაა. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დავალებები. შარშანდელთან შედარებით სწრაფი ტემპია მიღწეული კაპიტალური დაბანდებათა ათვისებაში.

მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმის პროექტით რესპუბლიკაში გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა 18,3 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მოცულობა — 15,2 პროცენტით. წინა ხუთწლედთან შედარებით კაპიტალური დაბანდება გაიზრდება 1,7-ჯერ, დაჩქარების ძირითადი ფაქტორი იქნება წარმოების ეფექტიანობის ზრდა, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე სამრეწველო პროდუქციის მატებამ 80 პროცენტი უნდა შეადგინოს.

წარმატებებთან ერთად მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ნაკლოვანებებსა და პრობლემებზე, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ცალკეულ საწარმოებშია.

წლის პირველი ნახევრის საერთო ანალიზით ნათელი გახდა, რომ მთელ რიგ დარგებსა და შრომითს კოლექტივებში და ცალკეულ სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობაში არ იგრძნობა გარდაქმნა. მრეწველობაში ნელა მიმდინარეობს ტექნიკური განახლება, საწარმოებში ბევრი დაზგა-მრწყობილობა ამორტიზებულია და ვეღარ უძლებს ექსპლოატაციას, სუსტად იყენებენ პროგრამული მართვის ჩარხების შესაძლებლობებს. ყველა საწარმოში არ არის ორცვლიანი მუშაობა, რაც უარყოფითად მოქმედებს მექანიზმების დატვირთვაზე. არ სრულდება უმაღლესი ხარისხის ნაწნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმები. უარესი მდგომარეობაა აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. საწარმოებში არ არის შექმნილი სათანადო სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები, მდარეა მათი პროდუქციის ხარისხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ქვეყანას მთავარ ამოცანად დაუსახა მართვის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, ეკონომიკური ექსპერიმენტის გაბედულად განხორციელება, საწარმოთა ტექნიკური განახლების დაჩქარება. აჭარის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, — ითქვა პლენუმზე, — ყველაფერი უნდა იღონონ პარტიის მითითებათა განსახორციელებლად და სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა და ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა დონეზე უნდა აიყვანონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

● ●

განისაზღვრა დაჩქარების პერსპექტივები

არის მიზანი, არის მისი მიღწევის გზები

მიმდინარე ხუთწლედში სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა 15 პროცენტით უნდა გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა, სამრეწველო პროდუქციებში — 36 პროცენტზე მეტით, საექსპლოატაციოდ გადასცენ 110 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ეს და სხვა საკონტროლო ციფრები დასახულია 1986-1990 წლებისათვის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით. მისი პროექტი განიხილეს და მოიწონეს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა. პლენუმმა განსაზღვრა ამ გეგმების რეალიზაციის კონკრეტული გზები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა, მან და სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ მომავალი ხუთწლედი გარდამტეხი უნდა გახდეს წარმოების ზრდის ტემპისა და მისი ეფექტიანობის გადიდების საქმეში. უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანონ საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სახალხო მეურნეობის დარგების რეკონსტრუქციის, არსებული პოტენციალის სრული გამოყენების, მეურნეობრიობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საფუძველზე. სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ხუთწლედის მანძილზე უნდა გაზარდონ სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიური დონე 33,5 პროცენტით, მრეწველობაში 26,7 პროცენტით.

ამიტომ, მოიწონა რა ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტი, პლენუმმა აღნიშნა რომ ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მეთორმეტე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა სრული რეალიზაციისთვის მიზანდასახული ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის განხორციელება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიულ კომიტეტებს დაევალათ განახორციელონ ეკონომიკური და სოციალური სფეროების პარტიული ხელმძღვანელობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის დამატებითი ღონისძიებანი. (საინფორმ).



მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოქმედებს

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წინაშე ახლა ახალი სერიოზული ამოცანები დაისახა. მათ შორის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, უმთავრესია შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გაზრდა პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის გაუმჯობესება, რესურსების დაზოგვა საწარმოო პოტენციალის სრული და ეფექტიანი გამოყენება.

ასრულებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, „ელვას“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხნის კოლექტივმა ამოცანად დაისახა მკვეთრად აამაღლოს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დამზადების ტექნიკური დონე მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი მიღწევების გამოყენების საფუძველზე, სახალხო მეურნეობას გამოთვლითი ტექნიკის, მეტი საშუალებანი მიაწოდოს.

ბოლო ხანს აქ ბევრი რამ გაკეთდა წარმოების რეკონსტრუქციისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, რაც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ბევრ საამქროში და უბანზე მოძველებული ტექნიკის ნაცვლად ახალი რობოტტექნიკური კომპლექსები, ავტომატიზებული ხაზები და სისტემები დადგა, რამაც ქარხანას საშუალება მისცა ბევრად გაეზარდა შრომის ნაყოფიერება, გაეუმჯობესებინა ხარისხი და აეთვისებინა ახალი სისტემის მმართველი გამოთვლითი მანქანების გამოშვება.

ყოველივე ამის მეოხებით ქარხნის კოლექტივმა თითქმის რამდენიმე მილიონი მანეთით გადაამეტა პროდუქციის რეალიზაციის ექვსი თვის გეგმა და მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა სახელმწიფო ხარისხის ნიშნით.

სურათებზე: ახალი ავტომატური სადიაგნოზო კომპლექსი „ოდიაკი“; № 9 საამქროს პარტბიუროს მდივანი, ელექტრომონტაჟეი ე. ლიპარტიანი.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

ეფუძნება პარტნიორობას

ლითონს კოროზიისაგან ლაქსაღებავებით იცავენ. ეს ლითონის სიცოცხლის გახანგრძლივების ყველაზე გავრცელებული მეთოდია მსოფლიოში. ლაქსაღებავებით, ცხადია, ლითონისაგან დამზადებულ მანქანა-დანადგარებსა და ნაგებობებსაც მეტ ხანს „იცოცხლებენ“. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება დღეს, როცა თანამედროვე მრეწველობისა და ტექნიკის განვითარება მაღალი ტემპერატურის, წნევების, სწრაფი ნაკადების, აგრესიული გარემოს სულ უფრო ფართო გამოყენების პირობებში მიმდინარეობს.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ახალი დამცავი მასალების შექმნისა და მათი ეფექტიანი გამოყენების თაობაზე მითითებულია ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში. ამასთან პრინციპულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ტექნიკის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ლაქსაღებავებით ლითონისა და სხვა საგნების საუკეთესო ხარისხით დაფარვას. ხარისხის საკითხს კი როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე, ისე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში მიზანდასახული და საინტერესო ღონისძიებანი ხორციელდება. ზემოხსენებული საკითხების მოგვარებას ნაყოფიერად უძღვება თბილისის ლაქსაღებავით დაფარვის სპეციალური საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო. მისი კოლექტივი ლაქსაღებავების სერიული ასორტიმენტის შერჩევით ამუშავებს ფხვნილოვანი მასალების ახალ კომპოზიციებს, დაფარვის ტექნოლოგიას, ქმნის გამდინარე წყლების გაწმენდისა და რეგენერაციის პროგრესულ ტექნოლოგიას, ლაქსაღებავებით დაფარვის პნევმო, ელექტრულ და სხვა სახეობის გამფრქვევების ახალ და გაუმჯობესებულ კონსტრუქციებს, სამრეწველო და ლაბორატორიული გასაზომ-საკონტროლო ხელსაწყოებს და აპარატებს, აპროექტებს სამღებრო საამქროებსა და უბნებს, ნაკადურ ხაზებსა და არასტანდარტულ მოწყობილობებს.

მეთერთმეტე ხუთწლედში ზემოხსენებული ბიუროს კოლექტივმა სახალხო მეურნეობისათვის უაღრესად საჭირო მილიონობით მანეთის სამუშაოები შეასრულა. მუყაითი მუშაობის შედეგად ერთი მანეთის დანახარჯზე უკუგებამ 3 მანეთი და 61 კაპიკი შეადგინა, განხორციელდა ლითონის ხანგამძლეობასთან, დაფარვის ხარისხის გაუმჯობესებასთან, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებული მრავალი ღონისძიება.

ამ პერიოდში აქ შექმნილ სხვადასხვა სახეობის დაფარვის დანადგარებს, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მომფრქვევებს, საზომ-საკონტროლო მოწყობილობებს, მბზინვარების გამზომებს ანალოგები არ გააჩნიათ. ამ ტექნიკამ საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე სხვადასხვა ღირსების მედლები და დიპლომები დაიმსახურა.

ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია ჩამოთვალო ყველა ის სიახლე, რომლებიც საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა მარტო ამ ბოლო სამი წლის მანძილზე დანერგა სახალხო მეურნეობაში, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე მოგახსენებთ.

ყურადსაღებია, მაგალითად, ნავთისა და ნავთობპროდუქტების შიგაზედაპირების ანტიკოროზიული დაცვის ახალი ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ბათუმის ცენტრალურ ნავთობგადასამუშავებელ ბაზაში დაინერგა და ამით ლაქსაღებავებით დაფარული ხანგრძლივობა 6 წლამდე გაზრდილა. ახალოგიური სამუშაოები „საქნავთობის“ გაზისა და ნავთობის მომპოვებელი სამმართველოს ობიექტებზეც შესრულდა და ათიათასობით მანეთი დაიზოგა.

ბევრს აკეთებს ბიუროს კოლექტივი მშენებლობისათვის. ქინვალ-ჰესის მშენებლობაზე შესრულებული ანტიკოროზიული სამუშაოების შედეგად ახლა საიმედოდ არის დაცული ატმოსფეროს ზეგავლენისგან მიწისზედა დანადგარები. ასეთივე ღონისძიებანი ხორციელდება ჰესის მიწისქვეშა სამანქანო განყოფილების ნაგებობის, მილგაყვანილობის, ძალოვანი და საკონტროლო მოწყობილობის დასაცავად.

შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, პროდუქციის ხარისხის, შრომის პირობებისა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მრავალი ღონისძიება განახორციელა საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა „ელვას“, „ელმავალმშენებელის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებებში, რუსთავის ამწეების, თბილისისა და ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ქარხნებში, სხვა ორგანიზაციებში.

დიახ, საკონსტრუქტორო ბიურო რომ მეტად ნაყოფიერ და სასარგებლო შრომას ეწევა, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ სწორია ისიც, რომ ეს კორესპონდენცია არ დაწერილა მისი კოლექტივის ხოტბის შესასხმელად. მიზანი ის გახლავთ, რომ ორგანიზაციას, რომელიც სახალხო მეურნეობისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საქმიანობას ხელმძღვანელობს, დახმარება სჭირდება. სხვათა შორის, საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის საქმიანობის თაობაზე პირველი წერილი როდი იწერება. უკანასკნელად მისი მუშაობის შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ 1983 წლის 1 ივლისის ნომერშიც დაიბეჭდა სტატია იმ მიზნით, რომ მიგვეპყრო იმ ზემოგომი ორგანოების ყურადღება, რომლებსაც შეუძლიათ პრაქტიკულად დაეხმარონ ბიუროს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

საქმე ეხება ბიუროსათვის საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის მშენებლობისა და დაფინანსების საკითხს, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოგვარდა. დღედან დაარსებისა (1974 წ.) საკონსტრუქტორო ბიუროს არ შემატებია არც ერთი სატრანსპორტო საშუალება, ურომლისობასაც კოლექტივი მტკივნეულად განიცდის. ამ ხნის მანძილზე არ შევსებულა ბიუროს საზომ ხელსაწყოთა პარკი, აი გამოუყოფენ მას კუთვნილ ფონდებს. არადა, მომდინარე ხუთწლედისა და შემდგომი პერიოდისათვის საკონსტრუქტორო ბიუროს დიდი და სამატიო მისია დაეკისრა. საქმე ის არის, რომ დაჩქარების სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტისათვის ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა 16 დარგობრივი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსი, რომლებმაც უნდა განახორციელონ დიდეფექტიანი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ახალი თაობის მანქანების შექმნასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მთელი ციკლი. კომპლექსების შემადგენლობაშია შეტანილი ის საკონსტრუქტორო ბიუროც, რომელზეც ამ ბოლოდროინდელ ციტირებულ ფელეტონში ლაპარაკი. ყველაფერი ეს გაზრდილ მოთხოვნებს წაუყენებს აქ მომუშავე მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებსა და ტექნოლოგებს.

ბიუროს ტექნიკოსი-ინჟინრის მოგვარება ხელს შეუწყობს ბიუროს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ეფექტიანად გამოიყენებს ტექნიკურ-ეკონომიკურ ტიპ ხუთწლიანის რთული პროგრამის შესრულებას.

მიკროპროცესული ტექნიკის საფუძველზე უნდა დამუშავდეს კოროზიისგან დაცვის ტექნოლოგიის ოპტიმალური გადაწყვეტების მიღების სისტემა. ეს საგრძნობლად შეამცირებს წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის ვადებს, გაზრდის მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, გაუუჯობესებს სამუშაოთა ხარისხს და აამაღლებს სტანდარტიზაციის დონეს. გათვალისწინებულია მოქმედი სამღებრო ხაზების ტექნიკური განახლება და ახალი მექანიზებული ხაზების, არასტანდარტული მოწყობილობების დაპროექტება და შექმნა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსისათვის დამუშავდება და დაინერგება რობოტიზებული აგრეგატები სხვადასხვა დანიშნულების ფართო დიაპაზონის მაგისტრალური მილების ზედაპირის კოროზიისაგან დასაცავად.

განხორციელდება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საინტერესო ღონისძიებანი. თბილისის მაუდ-კომბინატში საცდელი სამრეწველო მასშტაბით უნდა დაინერგოს შეღებილი გამდინარე წყლების გაწმენდისა და მისი ხელმეორე გამოყენების ტექნოლოგია იონგაცვლითი ფისების გამოყენებით. ამ სიახლის რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობაში მთლიანად დანერგვა თავიდან აგვაცილებს გარემოს გაჭუჭყიანებას, ხელს შეუწყობს პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებასა და მკვეთრად შეამცირებს წყლის დანახარჯებს.

დაჩქარების სტრატეგია, ინტენსიფიკაცია მოითხოვს კონტაქტებს, მჭიდრო კავშირს, საქმიან პარტნიორობას მეცნიერებასა და წარმოებას შორის. ამ მხრივ ბიუროს ნაყოფიერ მუშაობას ეწევა „ელვასა“ და „საქნავთობის“ საწარმოო გაერთიანებებთან, სხვა საწარმოებთან. პარტნიორობის წესით იწყება თანამშრომლობა თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებასთან, ელექტროვაგონშემკეთებელ, ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნებთან, მსუბუქი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების, სახაგრომრეწვის საწარმოებთან.

ვიმეორებთ: თბილისის ლაქსაღებავების დაფარვის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა და მას დახმარება სჭირდება. მოსაგვარებელია მისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და დაფინანსების საკითხი.

ლითონისა და დანადგარ-მოწყობილობის კოროზიისგან დაცვა მათი უცვეთელობის ეფექტიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელი და დიდი შემადგენელი ნაწილია. ვერ მივაღწევთ უცვეთელობის ეფექტს, თუ ლითონის კოროზიისგან დაცვისათვის მთელი შესაძლებლობით არ გავშლით მუშაობას.

არაერთხელ თქმულა, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველაზე დიდი მტერი კოროზიაა. მარტო ლითონის ნაკეთობათა კოროზიით გამოწვეული ზარალი ყოველწლიურად 60-70 მილიარდ მანეთს შეადგენს. ხმარებიდან გამოდის 20-25 მილიონი ტონა ლითონი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეტალურგიაში მოქმედი ყოველი მეხუთე ღუმელი მხოლოდ კოროზიული დანაკარგების შევსებაზე მუშაობს. დანადგარ-მოწყობილობათა მწყობრიდან გამოსვლის ყველა შემთხვევის 60 პროცენტი ქიმიურ მრეწველობაშია კოროზიის ბრალია.

შ. ამაშუკელი.

როცა მაყურებელი უბილეთოა

წერილს 5 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „არამი ლუკმა“, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის კინოთეატრებსა და სხვა სანახაობით დაწესებულებებში საკასო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტებს შეეხებოდა. ამის გამო საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. დვალიშვილი** რედაქციას ატყობინებს:

კომიტეტის კოლეგიამ დარღვევების ფაქტებზე დამნაშავე პირების მიმართ მიიღო მკაცრი ზომები, დასახა საჭირო ღონისძიებები კინოქსელში სახელმწიფო წესრიგის განსამტკიცებლად. კინოფიკაციისა და კინოთეატრების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ ღონისძიებებს კინოთეატრების სალაროებსა და მაყურებლთა დარბაზებში წესრიგის დასამყარებლად, უხეშად ირღვევა სალაროს საქმის წარმოების წესები.

დარგის საქმიანობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის, კინოსანსებზე უბილეთო მაყურებლის დაშვებისათვის, სალაროსა და სანიტარო შეურნეობის წარმოების წესების უხეში დარღვევისათვის, რითაც შეექმნათ უშრომელი შემოსავლის მიღების პირობები, ხიდნაღის რაიკინოფიკაციის დირექტორი თ. სპანდერაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. უფროს ბუღალტერს გამოეცხადა საყვედური, ასევე საყვედური გამოეცხადა ქ. ბათუმის კინოფიკაციის დირექტორს ა. ჩიკაშუას. აჭარის ასსრ სახკინოს ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს ქ. ბათუმის კინოთეატრ „თბილისის“ დირექტორის ს. ვერძაძის პასუხისგებლობის საკითხი ქ. გორის კინოფიკაციის დირექტორი გ. ხუბულური იმსახურებს სამუშაოდან განთავისუფლებას, მაგრამ მხედველობაშია მიღებული, რომ იგი შედარებით ახალი მუშაკია და ამიტომ გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ზესტაფონის რაიონის კინოფიკაციის დირექტორს თ. ფერაძეს გამოეცხადა საყვედური, უფროს ბუღალტერს დ. არჩვაძეს მიეცა შენიშვნა. საყვედური გამოეცხადათ თელავის, საგარეჯოს და გურჯაანის რაიონების კინოფიკაციების დირექტორებს თ. ცერცვაძეს, ვ. გოცირიძეს და მ. უტიაშვილს. ხაშურისა და მახარაძის რაიონების კინოფიკაციების დირექტორებს გ. გამგონიძესა და ე. მეკავაძეს მიეცათ შენიშვნა. ამასთან დაევალათ მათ განიხილონ კინოთეატრ „ოზურგეთის“ დირექტორის ე. ბურჭულაძისა და დაბა სურამის კინოთეატრის ადმინისტრატორის ა. სადაღოვის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

მიღებულია ცნობად, რომ ქ. ცხინვალის კინოფიკაციის დირექტორს რ. ჯოიუს კოლეგიის 20 მაისის დადგენილებით გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური და სამუშაოზე დატოვებულია პირობით. ავადმყოფობის გამო ცხაკაიას რაიონის კინოფიკაციის დირექტორის ი. ბოჭგუას კოლეგიაზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, მისი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი განხილული იქნება კოლეგიის მორიგ სხდომაზე.

კოლეგია მოაქცევს კინოფიკაციის ქუთაისის განყოფილების გამგის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ზუგდიდის რაიკინოფიკაციების დირექტორების ზ. თედორაძის, დ. ნუცუბიძის, თ. მატარაძისა და რ. კუბალეიშვილის ყურადღებას იმას, რომ ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს მოულოდნელი შემოწმებების სისტემატურად და ეფექტიანად ჩატარებისათვის და ავალებს მათ მიღონ გადამჭრელი ზომები სალაროსა და სახალხო მეურნეობის წარმოების დადგენილი წესების განუხრელად დაცვისათვის და სეანსებზე უბილეთოოა დასწრების აღკვეთისათვის

სოციალიზმის სოციალური სამართლიანობა

სკკპ XXVII ყრილობამ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა ძირითად სფეროში პარტია მტკიცედ გაატარებს სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ძირფესვიანად აღმოფხვრის ყველაფერს, რაც ხელს უშლის მის განუხრელ განხორციელებას, პარტიას თავისი საქმიანობის უზენაეს მიზნად ყოველთვის მიიჩნევა შეუნელებელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, სოციალური სამართლიანობის უფრო სრულად დამკვიდრებისათვის.

ჩვენში დიდი ხანია ლიკვიდირებულია სოციალური უსამართლობის მთავარი წყარო — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უთანასწორობა წარმოების საშუალებათა მიმართ. „სოციალური სამართლიანობით, — ნათქვამია ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, — გამსჭვალულია სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მხარე. ეს არის ხალხის რეალური ხელისუფლება და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, ერების ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობა, პიროვნების პატივისცემა, მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის პირობების შექმნა. ეს არის აგრეთვე ფართო სოციალური გარანტიები: სამუშაოთი უზრუნველყოფა, განათლების, კულტურის, სამედიცინო მომსახურებისა და ბინის ხელმისაწვდომობა, ზრუნვა ხანდაზმულებისათვის, დედებისა და ბავშვებისათვის. სოციალური სამართლიანობის პრინციპის განუხრელი განხორციელება ხალხის ერთიანობის, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის, განვითარების დინამიზმის დიდმნიშვნელოვანი პირობაა“. პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში სამართლიანობის პრინციპის სულ უფრო სრულად განხორციელებას პარტიის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნევს.

„ბერძნებისა და რომაელების სამართლიანობა, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — მონობას სამართლიანად თვლიდა; 1789 წლის ბურჟუების სამართლიანობა ფეოდალიზმის გაუქმებას მოითხოვდა, ვინაიდან იგი უსამართლოა. პრუსიელი იუნკერებისათვის უბადრუკი კანონიც კი მარადიული სამართლიანობის დარღვევას წარმოადგენს. მაშასადამე, წარმოდგენა მარადიულ სამართლიანობაზე იცვლება არა მარტო დროისა და ადგილის მიხედვით, არამედ ცალკეულ პიროვნებათა მიხედვითაც კი“. ბურჟუაზიული სამართლიანობა, პ. ლაფარგის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდარაჯე ძალლივით იცავდა კაპიტალისტთა სიმდიდრეს.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ მშრომელთა ოცნება სოციალური სამართლიანობის შესახებ შეიძლება იქცეს რეალურ სინამდვილედ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

მხოლოდ სოციალიზმი ქმნის იმის პირობებს, რომ სამართლებრივ სისტემად ჩამოყალიბდეს ცხოვრებით შემოწმებული ისეთი მორალურ-ზნეობრივი ნორმები, რომლებიც გამოხატავენ მშრომელი ხალხის ნება-სურვილს, მის სასიცოცხლო ინტერესებს. იგი ქმნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ზნეობრივ წანამძღვრებს იმისათვის, რომ სამართლანობა გახდეს სამართლისა და იურიდიული პრაქტიკის მთავარი ამოსავალი პირობა. „ჩვენ ძალა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — სიმართლის თქმაშია“.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად მხოლოდ საბჭოეთის ქვეყანაში აშენდა ყველაზე სამართლიანი საზოგადოება — სოციალიზმი, რომლის შემდგომი სრულყოფა ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი საბრძოლო ამოცანა გახდა.

* * *

საუუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და იხვეწებოდა სამართლიანობის პრინციპები. ხალხი სამართლიან პიროვნებად ყოველთვის მიიჩნევდა იმას, ვინც კანონის შესაბამისად მოქმედებდა, იყო სიმართლის მოყვარული, მისი მიმდევარი და ამავე დროს მიუკერძოებელი. პატიოსანი, ავტორიტეტიანი და სამართლიანი კაცის აზრი ყოველთვის იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში და მუდამ ძვირად ფასობდა.

სამართლიანობის დიდი მედროშე ილია წერდა: „თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ, რომ იღვწენ და იმოქმედენ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგვცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჟყიდულობდეს თვითეული თავის კერძს ცხოვრებისას... საჭიროა ადამიანს ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა... მართალი იყავ და სიმართლეს სდიე — გზა ყოველთვის კაცური გექნება... ყოველს საზოგადოებრივ საქმეში, რაც უნდა მწვავე იყოს, კაცმა ჯერ უნდა მართალი ეძებოს, მხოლოდ მართალი და სხვა არა-რა. ჯერ, ყველაზედ უწინარეს, უმრავლესობათა და უმცირესობათა შორის სიმართლე უნდა იყოს გამკითხველი.“

აკაკიც ხომ დაუღალავად უგალობდა სიმართლეს და სამართლიანობას: „ეე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურებდეს.“ ან კიდევ: „გაურჩევლად გვარ-ტომობის, ყველასათვის კეთილი მსურს, ვინც კი კაცად — კაცადია და სიმართლით უხურს გული.“

თავისი ქმნილების ერთ-ერთ პერსონაჟზე ვაჟა ყველას გასაგონად აცხადებდა, რომ „მის სიმართლეს და სიწმინდეს მთელი ქვეყანა ჰკვირობდა“.

ცხოვრებისეულია ი. გრიშაშვილის პოეზიის მოწოდება: „პირდაპირს და სამართლიანს შეგიყვარებს ხალხი მუდამ“. მ. გურიელი მკითხველს მიმართავდა: „ცხოვრების მიზნად სიმართლე ქმნილდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად, სამშობლო შენი მარად გახსოვდეს, თუ კი გსურს გახდე ადამიანად“. სამართლისა და სამართლიანობის პრობლემებზე წერდა მსოფლიოს არაერთი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

საბჭოთა საზოგადოებაში სამართლიანობას საფუძვლად უდევს სოციალიზმის ძირითადი პრინციპის — „თითოეულისგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ — თანამიმდევრული განხორციელება. ამიტომ ყოველი მოქალაქის შრომითი წვლილის ობიექტური შეფასება სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი პირობაა, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას და შრომითს კოლექტივებში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას, პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომის ავტორიტეტის ამაღლებას, იმის უზრუნველყოფას, რომ თითოეული ადამიანი ნამდვილად შრომობდეს უნარის მიხედვით.

თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება არის სოციალურრ სამართლიანობის სრულიად ახალი, ისტორიაში მანამდე უცნობი პრინციპი, რომელიც თავისთავად, თვითდინებით კი არ მკვიდრდება, არამედ მოითხოვს უმკაცრეს კონტროლს შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი. იგი განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის საიმედო გზაა, რაც ეხმარება თითო

ასეთი პასუხსაგებელი საქმე

ლენინგრადელმა მკითხველებმა წინადადება წამოაყენეს შეიქმნას საქალაქო საოჯახო საბჭოები. ამის გამოცდილება კი, თურმე, უკვე აფილ. როგორც თბილისიდან შეგვატყობინეს, ქალაქის ლენინის რაიონში მოქმედებს მშობელთა ნებაყოფლობითი საზოგადოება. ეს ახალი ამბავი არ არის. საზოგადოებრიობა ეძებს ოჯახთან ურთიერთმოქმედების ახალ ფორმებს. და საჭიროა ეს პირველი ნაბიჯები კარგად მოვიფიქროთ, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები და ოჯახს მართლაც სასარგებლოდ და დელიკატურად დავეხმაროთ. იმის თაობაზე, თუ რას უნდა აკეთებდნენ საზოგადოება თუ საბჭო, კამათობენ. მკითხველის აზრი როგორია?

„ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების ერთ-ერთი განყოფილების უფროსი მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის „რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის“ წოდებაზე უნდა წარედგინათ, მაგრამ კანდიდატია უარყვეს. მისი შვილის სკოლიდან მიიღეს წერილი, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ ბიჭი ხულიგნობს, ორიანებით არის გაჭედილი და ქურდობაც კი იკადრა. ქარხანაში წერილი სკოლის ინიციატივით არ მოსულა. მშობელთა საზოგადოებამ, რომელიც გაერთიანებაში შეიქმნა, ყველა სკოლაში, სადაც კი ელექტრომეკანიკური ტიპის ოჯახებიდან შვილები სწავლობენ, წერილები დაგზავნა და სთხოვა შეეტყობინებინათ, თუ როგორ ეკიდებიან მშობლები შვილების აღზრდის საქმეს.

გულახდილად გეტყვით, ჩვენი აზრით, ელექტრომეკანიკატებმა, რომლებმაც კარგი საქმე განიზრახეს, ოჯახსა და სკოლას შორის ურთიერთობის გარკვევის საუკეთესო საშუალება როდი აირჩიეს. ტაქტი, სიფრთხილე, კეთილმოსურნეობა — აი უპირველესი პირობები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ჩვენი კონტაქტები ოჯახთან, როცა მას რაიმე დახმარებას სთავაზობ. გავიმეორებ — დახმარებას, სანამ პასუხს მოვკითხავდეთ. თუ ოჯახის განმტკიცება გვსურს, ჯერ მისი ნდობა უნდა მოვიპოვოთ. ადმინისტრაციული ზეგავლენით, „აღზრდისათვის დასჯით“, საზოგადოებრივი სასამართლოებით დაწყება კი აშკარად იმას ნიშნავს, რომ პირველი ნაბიჯებიდანვე ჩამოვაშოროთ ოჯახი ჩვენს ახალ მშობელთა საბჭოებსა და საზოგადოებებს.

ჯერჯერობით საქართველოში ორი ასეთი საზოგადოება შეიქმნა: თბილისის ლენინის რაიონში და ქალაქ ზესტაფონში. ისინი ადგილობრივი საბჭოების ეგიდით მუშაობენ. ყოველ შრომითს კოლექტივში შეიქმნა პირველადი ორგანიზაციები. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ოჯახის პატრონი ადამიანი. შესატანი წელიწადში 1 მანეთია. ძირითადად კი საზოგადოების ბიუჯეტი იმ ფულით იქმნება, რომელსაც მშობლები გამოიმუშავებენ შაბათობებზე და საწარმოები სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხავენ ბანკში. შაბათობის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებას აღმასკომი იღებს, იგივე აღმასკომი ამტკიცებს ფულის მთელ გასავალსაც. აი მაგალითი: ოტიაშვილის ოჯახი გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ექვსი მცირეწლოვანი შვილი ჰყავთ, დედა არ მუშაობს, მამას ავარია შეემთხვა და ინვალიდდა, თანაც ოჯახში ღრმად მოხუცებული ბებია ჰყავთ. საბლი (საკუთარი) დაძველდა. მის შესაკეთებლად კი არც ძალა შესწევთ, არც სახსარი აქვთ. საზოგადოებამ 1700 მანეთი გამოუყო, საბინაო-სამშენებლო ტრესტის ოსტატებმა კი რემონტი იკისრეს. უფროს ბავშვებს სკოლის ფორმა უყიდეს, უმცროსებს — ახალი ტანსაცმელი. ოჯახს ფულადი დახმარებაც გამოუწერეს.

ამას წინათ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა ლენინგრადიდან მიღებული კორესპონტიური წერილი, რომელშიც მკითხველები გვთავაზობენ შეიქმნას მრავალშვილიანი ოჯახების საქალაქო საზოგადოებრივი საბჭოები, — გვითხრა პარტიის თბილისის ლენინის რაკომის პირველმა მდივანმა რომან ივანეს ძე ჯავახიშვილმა. — ჩვენი საზოგადოება, არსებითად, სწორედ ასეთი საბჭოა, მაგრამ იგი ყველა ოჯახის განმტკიცებისათვის ზრუნავს, და არა მარტო მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. რაც შეეხება წვრილშვილიან ოჯახებს, მათ უპირველეს ყურადღებას ვუთმობთ.

„ელექტროაპარატის“ გაერთიანებაში 16 წვრილშვილიანი ოჯახია. მათ უფასოდ აძლევენ პიონერთა ბანაკის საგზურებს, მატერიალურად ეხმარებიან დირექტორის ფონდიდან. მაგრამ რაიონში არიან დედ-მამები, რომლებიც მსხვილ საწარმოში კი არა, პატარა კანტორაში მუშაობენ. მათზე ზრუნავს წვრილშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების სექცია, რომელსაც რაიაღმასკომის თავმჯდომარე მეთაურობს. საზოგადოებაში კიდევ ორი სექცია მუშაობს: მშობელთა პედაგოგიური განათლების და აღმზრდელობითი მუშაობის სექციები შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილებში. მათ პარტიის რაიკომის მდივნები მეთაურობენ. ყველაფერი საზოგადოებრივ საწყისებზე კეთდება. შტატის მუშაკები არიან სამი ინსტრუქტორი და პასუხისმგებელი მდივანი.

საზოგადოებამ ხელშეკრულება დადო იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტთან და მისი თანამშრომლები ლენინის რაიონის მშობლებისათვის ყოველთვიურად აწყობენ „ღია კარის დღეს“. ასეთ დღეებში მშობლებს შეუძლიათ ერთი ერთზე ესაუბრონ გამოცდილ პედაგოგს, იურისტს, სექსოლოგსა თუ ფსიქოლოგს. ძალზე პოპულარულია მუდმივმოქმედი ლექტორიუმი. საუბრების თემა მრავალფეროვანია: „რა იწვევს ეჭვიანობას?“, „როგორ მივუდგეთ ყმაწვილს“, „როგორ შევინარჩუნოთ სიყვარული?“.

„ელექტროაპარატში“ იმ დღეს, როცა სამშობიაროდან უნდა გამოიყვანონ დედა და ახალშობილი, მამას სამუშაოდან ათავისუფლებენ, ოღონდ ხელფასს უნარჩუნებენ, თანაც ყვავილებსა ასაჩუქრებენ და ულოცავენ კიდეც მრავალტირაჟიანი გაზეთის მეშვეობით. ყოველი წლის გაზაფხულზე იწყობა „ოჯახის კვირეული“, რომლის დროსაც მახვილგონივრულ კონკურსებს მართავენ ყველაზე სპორტული და ყველაზე მუსიკალური ოჯახის წოდების მოსაპოვებად. გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრებს ურიგებენ, მაგრამ ამაზე ძვირად ფასობს მოპოვებული სახელი. განა არ გეამება, როცა მეორე დღეს საამქროში გეუბნებიან: „რა მშვენივრად იმღერა შენმა გოგონამ!“. ამის გაგონებაზე უნებურად დაფიქრდება ისიც, ვისაც ოჯახში ყველაფერი რიგზე ვერა აქვს.

ოჯახში არეულობის მიზეზები სხვადასხვაგვარია, და რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დროულად და ტაქტიანად დავეხმაროთ. როცა სკოლიდან აცნობეს, რომ მეშვიდეკლასელი ვახტანგ ს. სისტემატიურად აცდენს გაკვეთილებს, სცადეს საქმეში გარკვეულიყვნენ. თურმე, დედ-მამა ერთ ცვლაში მუშაობენ და ბიჭუნა ხშირად მარტო რჩება. ცოლ-ქმარი სხვადასხვა ცვლაში გადაიყვანეს, ვახტანგს კი საწნეხი საამქროს ახალგაზრდა პარტიიურს მდივანი ზ. ხიზანიშვილი მიამაგრეს. ვახტანგი დაუშეგობრდა თავის დამრიგებელს, ქარხნის პროფტექნიკურ სასწავლებელში შევიდა და ახლა საწნეხ საამქროში მუშაობს.

მტვიფრავ ს.-ს ოჯახში კიდევ უფრო დრამატული მდგომარეობა შეექმნა: ქმარმა მიატოვა და სამი შვილი დაუტოვა. უმცროსი ბიჭი სულ წავიდა ხელიდან. დამრიგებლად დაუნიშნეს მანანა როსტაშვილი — კომკავშირის კომიტეტის წევრი.

როცა საქმე გაყრამდე მიდის ხოლმე, ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო ცოლ-ქმარს საზოგადოებაში გზავნის: დე, გამოცდილ, კეთილმოსურნე ხალხს მოეთათბირონო. და ფაქტი ფაქტად რჩება: შარშან გაყრის შესახებ სახალხო სასამართლოში მიღებული 250 განცხადებიდან თითქმის ნახევარი უკან გაიტანეს.

ფართო და მრავალფეროვანია საზრუნავისა და იმ ამოცანების წრე, რომელსაც მშობელთა საზოგადოება წყვეტს. არ გამოირჩევი არც ერთი ოჯახი, დაეხმარონ, მხარში ამოუდგნენ გაჭირვების ჟამს — აი მთავარი მიზანი. მეორე, არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი მიზანია, როგორც რ. ჯავახიშვილმა თქვა, „ასწავლონ მშობლობა“.

ვ. ქაჯაია,

„იზვესტიის“ სპეც. კორ.

„იზვესტია“. 14. VII. 86 წ.

„საქართველოს კომუნისტი“ № 7

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 7.

ჟურნალში დაბეჭდილია: საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შესახებ და პლენუმის მასალები.

ჟურნალში დაბეჭდილია მოწინავე — სოციალური განვითარების დიდი პერსპექტივები; რუბრიკით სკკპ XXVII ყრილობისა და თეორიის საკითხები ჟურნალი ბეჭდავს რ. გრძელიძის წერილს — „ეროვნული ურთიერთობა სოციალიზმის სრულყოფის ეტაპზე“ და თ. ჯაფარლის — „ნივთები ადამიანის გარშემო“, რუბრიკით — პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის კურსით — გაეცნობით პუბლიკაციას — მიწოდების დისციპლინა პარტიული ზრუნვის საგანია; ვაჟა-ფშაველას დაბადების 125 წლისთავის გამო — რუბრიკით ლიტერატურა და ხელოვნება დაბეჭდილია ბ. დობორჯგინიძის წერილი „დიდი პოეტი და მოაზროვნე“; მთები და ადამიანები — ამ რუბრიკაში წარმოდგენილია შემდეგი წერილები: გ. მარგიანის — „მესტიის რაიონის მიღწევები და პრობლემები“ და ლ. ფრუიძის — „რაჭის საუნჯე რომ არ დაიშრიტოს“... იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზზე — ამ რუბრიკით ჟურნალი მკითხველს სთავაზობს მ. ჭელიძის სტატიას — „სოციოლოგი და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური ისტორიის საკითხები“; ბოძმე სოციალისტურ ქვეყნებში — ამ რუბრიკით დაბეჭდილია ო. გოგიაშვილის წერილი — „შრომის მიხედვით ანაზღაურების პრინციპის სრულყოფა“.

17 ივლისი ● საქართველოს იუსტიცია

ეროვნული

ფაქტები • მოვლენები

ეროვნული გიგანტომანია

საჭიროა პოლიტიკური ნება

ნიუ-იორკი. დაუყოვნებლივ მოეწყოს კოლომბოში კონფერენცია, რომელიც უზრუნველყოფს ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გამოცხადების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის განხორციელებას.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტისადმი ხელშეწყობის მისწრაფვები არის გამსჭვალული მიუმხრობელი ქვეყნებისა და სოციალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა გამოსვლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდოეთის ოკეანის საკითხთა სპეციალური კომიტეტის წელს მეორედ გამართულ სესიაზე, რომელიც გრძელდება მსოფლიო გაერთიანების შტაბ-ბინაში.

მორიგ სხდომაზე გამოსვლისას კომიტეტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ დევაპარა როდრიგომ (შრი-ლანკა) აღნიშნა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — პოლიტიკური ნება. მიუმხრობელ ქვეყნებს, ხაზი გაუსვა მან, კონსტრუქციული პოზიცია უკავიათ საკითხში, რომლის გადაწყვეტა არსებით წვლილს შეიტანს რეგიონისა და მთელი მსოფლიოს ვითარების გაჯანსაღებაში.

ამ მეცადინეობას მთლიანად დაუჭირეს მხარი სოციალისტური სახელმწიფოების დელეგატებმა. მზად ვართ რეალური წვლილი შევიტანოთ კოლომბოს ფორუმის მომზადებაში, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვილჰელმ გრიუნდმანმ.

სსრ კავშირს არაერთგზის მიუპყრია საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება, მათ შორის უმაღლეს დონეზეც, ინდოეთის ოკეანეში არანორმალური მდგომარეობისათვის, სადაც ბოლო წლებში შეიქმნა დაძაბული ვითარება, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდოეთის ოკეანის საკითხთა სპეციკომიტეტში რ. მ. ტიმერბაევმა. სსრ კავშირს, ისევე როგორც კომიტეტის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას, მიაჩნია, რომ არაასაკეთო კლიმატი მისი გაჯანსაღების სასწრაფო პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს. კოლომბოს კონფერენციის წარმატებით მოწყობა, ხაზი გაუსვა საბჭოთა წარმომადგენელმა, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო უშიშროების ისეთი სამედო ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის გზაზე, რომელიც მსოფლიოს ყველა რაიონს მოიცავს.

ინდოეთის ოკეანის საკითხთა სპეციკომიტეტის სესიაზე

● ჩინეთი

იზრდება ასპირანტურების რიცხვი

პეკინი. სამეცნიერო კადრების მომზადების სრულყოფის მიზნით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ჩინეთში ასპირანტურების რიცხვის გადიდების შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 33 უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნება ასპირანტურები, რომლებიც მომავალ ხუთწლედში მოამზადებს 180 ათას მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს.

ამჟამად ასპირანტურები ძირითადად მოქმედებს ქვეყნის ხუთი უდიდესი უნივერსიტეტის ბაზაზე. აქ სწავლობს ათასზე მეტი კაცი, ანუ ყველა იმ პირთა 67 პროცენტი, რომლებიც ემზადებიან სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

● იტალია

რთული ამოცანის წინაშე

რომი. ჯულიო ანდრეოტი, რომელსაც იტალიის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ მინისტრთა ახალი კაბინეტის შექმნა დაავალა, განაგრძობს პოლიტიკური კონსულტაციებს პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, საქმიანი წრეებისა და სამთავრობო კრიზისის წარმომადგენლებთან გაჭიანურებული მიზნით.

მიმომხილველთა აზრით, ჯ. ანდრეოტის წინაშე ძნელი ამოცანა დგას. მან ჯერჯერობით ვერ მოახერხა ყოფილი მოკავშირეების შერიგება მმართველ უმრავლესობაში, რომელიც ივნისის მიწურულს დაიშალა. სოციალისტებმა უარი განაცხადეს კაბინეტის შემადგენლობაში შესვლაზე, რომელსაც ქრისტიანი დემოკრატი მეთაურობდა. მმართველ კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების წარმომადგენლებმა — სოციალ-დემოკრატებმა, ლიბერალებმა და რესპუბლიკელებმა — ლოდინი ამჯობინეს.

იტალიელი კომუნისტები მოითხოვენ მთავრობის შექმნას იტალიის კომპარტიის მონაწილეობით. მთავრობის კრიზისი, ნათქვამია აქ გავრცელებულ კომპარტიის ხელმძღვანელობის განცხადებაში, იმის შედეგია, რომ ხუთპარტიულ კოალიციას უნარი არ შესწევს გადაწყვეტოს ქვეყნის წინაშე არსებული დიდი ხნის მოწიფებული ეკონომიკური და სხვა პრობლემები. კოალიციაში არსებული უთანხმოებანი ხელისუფლების ხუთპარტიული ფორმულის კრახს მოწმობს.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოიწვიოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შექმნილი ვითარების განსახილველად.

პროვოკაციული აქტი

ბერლინი. როგორც ადნის საagენტო იუწყება, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ლ. გლინკემ მტკიცე პროტესტი განუცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გენერალური მდივნის მოადგილის ჰერბერტ მაისნერის მიმართ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის პროვოკაციულ აქტთან დაკავშირებით.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის პროტესტი

დასავლეთ ბერლინში სამსახურებრივი მოგზაურობის დროს მოგონილი საბაბით იგი დააპატიმრეს და ძალადატანებით წაიყვანეს მიუნხენში, სადაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეციალსამსახურების წარმომადგენლებმა დაკითხეს. ფედერალური სადაზვერვო სამსახური შანტაჟს უწყობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეს, ცდილობდა დაეყოლიებინა სამშობლოს ღალატზე. ამას ჩამოართვეს დიპლომატიური პასპორტი და სხვა პირადი დოკუმენტები. დარაჯობის ჰიუზდავად, მან მოახერხა გაპარულიყო და მიეღწია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობამდე.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ ფედერალური კანცლერის უწყების მოსთხოვა დაუყოვნებლივ დააბრუნონ პირადი ქაღალდები და უზრუნველყონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰ. მაისნერის დაუბრკოლებელი დაბრუნება.

● საფრანგეთი

რაზე „წუხს“ პრემიერი?

პარიზი. საფრანგეთის მთავრობა მომავალშიც განაგრძობს ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის შეკვეცა.

ამას მოწმობს პრემიერ-მინისტრის ჟაკ შირაკის გამოსვლა ეროვნული ტელევიზიით. კაბინეტის მეთაურმა „წუხელი“ გამოთქვა იმის გამო, რომ პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა უარი თქვა ხელი მოეწერა სამთავრობო ორდონანსზე, (კანონზე), რომელიც ითვალისწინებს 65 სამრეწველო და ფინანსური ჯგუფის დენაციონალიზაციას. მან „უსაფუძვლო“ უწოდა პრეზიდენტის შეშფოთებას იმით, რომ ორდონანსმა შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული მონაპოვრების ნაწილის უცხოეთის კაპიტალის ხელში გადაცემა. ორდონანსის პროექტი, თქვა შირაკმა, გადაკეთდება დენაციონალიზაციის შესახებ კანონპროექტად, რომელსაც შემდეგ განსახილველად წარუდგენენ საფრანგეთის პარლამენტს.

● ინგლისი

ამბავი ასპირანტურების

ამას წინათ ბრიტანეთის ქალაქების ჭუჭრი პოლიციის ხელისუფლებმა ნამდვილ პოლიგონებად აქციეს. ინგლისელი „წესრიგის გუშაგნი“ აქ გადიოდნენ მომზადებას, თუ როგორ გაუწიონ კონტროლი „გამძვინვარებულ ბრბოს“ და როგორ იმოქმედონ „კრიზისულ სიტუაციებში“. ამ ცნებებში დიდი ბრიტანეთის ხელისუფალნი გულისხმობენ მშრომელთა გამოსვლებს თავიანთი საარსებო უფლებების დასაცავად და მშვიდობისათვის მებრძოლთა მანიფესტაციებს ქვეყანაში მილიტარისტული ფსიქოზის გაღვივების წინააღმდეგ. „წესრიგის გუშაგნი“ თავიანთ ოპერაციებში იყენებენ თანამედროვე ტექნიკას, მათ შორის ჯავშნიან მანქანებს, ტუვიაგაუმტარ ფარებსა და ცრემლსადენგაზიან ხელყუმბარებს, წვრთნის დროს ეუფლებიან ბრიტანეთის კუნძულების მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ კონსერვატორთა ძალმომრეობის პოლიტიკის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

სურათზე: ლონდონელ „წესრიგის გუშაგთა“ მორიგი წვრთნა.

კამერა პრეს-საქდესი ფოტო.

ექსკლუზიური ინტერვიუ

ემზადებიან ტერორისათვის

ექსკლუზიური ინტერვიუ

გუბერნატორი და მაფია

ნიუ-იორკი. რესპუბლიკელმა გ. ჰაიატმა, რომელმაც თავისი კანდიდატურა დააასახელა მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორის პოსტზე, მოულოდნელად განაცხადა, რომ კენჭს არ იყრის. გამოქვეყნებულ განცხადებაში მას არ დაუსახელებია ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი, მაგრამ იგი ისედაც ცნობილია. საჯაროდ გახდა ცნობილი მისი ფარული ურთიერთობა მაფიასთან. გამოირკვა, რომ ჰაიატს საკმაო თანხები მიუღია თავისი საარჩევნო კამპანიისათვის ვინმე ჯ. კეტრისაგან, რომელიც მასაჩუსეტსში დანაშაულებრივი სინდიკატის მეთაურია.

ამ სკანდალურ ამბავში ყველაზე საინტერესოა ის, რომ მასაჩუსეტსის რესპუბლიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ... თავად ილაპარაკა გაზეთ „ბოსტონ ჰერალდისათვის“ მიეცემულ ინტერვიუში დამნაშავეებთან თავისი შეხედრო ურთიერთობის შესახებ. ამ დაუფიქრებელმა განცხადებამ რესპუბლიკელთა ბანაკში არეულობა გამოიწვია. ზომიერების გრძნობადაკარგულ პოლიტიკოსს ეუბნებოდნენ მოეხსნა თავისი კანდიდატურა. მაგრამ ჰაიატმა, როგორც იტყვიან, თავი აიმაგა. მან ერთ-ერთ განსტერს „ოჯახის მეგობარი“ უწოდა და კვლავ ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ამგვარი მეგობრობა სრულიადაც არ შეუშლის ხელს წესიერად შეასრულოს გუბერნატორის მოვალეობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი მტკიცებების საფუძველი მას ჰქონდა. ცნობილია, მაგალითად, რომ დიდი ხნის მანძილზე რეიგანის ადმინისტრაციაში შრომის მინისტრი იყო რ. დონოვანი, რომელიც ამბილეს მაფიასთან ურთიერთობაში. მაგრამ, თუ ყველაფრის მიხედვით ვიმსჯელებთ, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობაში გადაწყვეტეს, რომ სკანდალი დონოვანთან დაკავშირებით, რომელიც გასამართლებას ელის, თეთრი ხალისათვის სავსებით საკმარისია. ჰაიატი იძულებული გახდა მეეხსნა თავისი კანდიდატურა.

ეფექტური ინტერვიუ

„ტიტანიკის“ შესასწავლად

ნიუ-იორკი. „ტიტანიკის“ დაღუპვის ადგილას ჩასული ამერიკის ექსპედიცია შეუდგა 74 წლის წინათ ჩაძირული ლაინერის შესწავლას.

როგორც ვუდს-ჰოლის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტის წარმომადგენელი შელი ლაუზონი იუწყება, ექსპედიციის ხელმძღვანელი რობერტ ბელარდი პაწაწინა წყალქვეშა ნავით „ელვინით“ მივიდა „ტიტანიკის“ ჩონჩხთან. ეს გრძელდებოდა დაახლოებით ექვს საათს. ბელარდმა ჩაძირული ლაინერის გარშემო 3965 მეტრ სიღრმეზე დააყენა სამი სასიგნალო ბერკეტელა, შემდეგ წყალში ჩაუშვეს ფოტოგადამღები პლატფორმა „ენგუსი“, რომლის მეოხებითაც გადაიღეს 3 ათასი ფოტოსურათი. ისინი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა „ელვინის“ მორიგი, ახლა უკვე 10-საათიანი ჩაძირვის მოსამზადებლად, რომლის დროსაც გამოიკვლევენ დაღუპული გემის კოპუსს. გამოსცადეს სპეციალისტების მიერ ტელეკამერებით აღჭურვილი თვითმავალი რობოტი ავტომატი, რომელსაც შეუძლია დიდი სიღრმიდან გადმოსცეს უაღრესად ზუსტი გამოსახულება. ამ ამარატის ჩაშვებას აპირებენ „ტიტანიკის“ მთავარ სალონში.

კატასტროფის ადგილის გამოკვლევა გაგრძელდება 11 დღეს. გადაიღებენ ჩაძირული „ტიტანიკის“ კიდევ დაახლოებით 100 ათას ფოტოსურათს.

ეფექტური ინტერვიუ

ტრაგიკული გასეირნება

ლიმა. ტრაგიკულად დამთავრდა საზღვაო გასეირნება, რომელიც მოაწყეს პერუს სამხედრო მეზღვაურებმა ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებისათვის.

მცირე სატვირთო ხომალდს მოულოდნელად თავს დაატყდა უზარმაზარი ტალღა, რომელმაც ოკეანეში გადაისროლა 20 კაცი. მათგან მხოლოდ რვა გადაარჩინეს. ნაპირიდან ათ კილომეტრზე მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლი გახდა 9 მოსწავლე და სამი საზღვაო ოფიცერი.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

... ...

მოსკოვური დღიურები

ქართველი მხატვრების ვერნისაჟი

მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მხატვართა ცენტრალურ სახლში გაიმართა შეხვედრა საქართველოს სსრ სახალხო მხატვართან ზ. ნიჟარაძესთან და საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვართან თ. მირზაშვილთან. შეხვედრის ინიციატორი იყო მხატვრის ცენტრალურ სახლთან არსებული ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტი.

სახვითი ხელოვნების მოყვარულნი ინტერესით გაეცნენ ქართველი მხატვრების ხელოვნებას, რომელიც აჩვენა 25-25 ნაწარმოებით იყო წარმოდგენილი.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა **ი. რუხაძემ** გვითხრა: კარგად ვიცნობ ზ. ნიჟარაძის პორტრეტებს, ნატურმორტებს, ჟანრულ ჩანახატებს. ახლაც სიამოვნებით და აღტაცებით ვიგონებ მის იტალიურ ციკლს — ქალაქების პეიზაჟებს და ჟანრულ სცენებს. დღევანდელი გამოფენა პოეტურ ფერთა ბრწყინვალებით გამოირჩევა, მხატვარი მშვენივრად იცნობს XX საუკუნის ფერწერას და მისი ნამუშევრები რაფინირებული გემოვნებით ხიბლავს მნახველს.

რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი **გ. კლიკოვი** ამბობს:

— სიამოვნებით დავათვალიერე გამოფენა. თ. მირზაშვილის პეიზაჟები განუმეორებელია. მისი ჟანრული ნახატები სოფლის ცხოვრებიდან სავსეა ადამიანური სიმბოლოთი, ცხოვრების ჯ და შრომის პოეზიით, საოცარი ჰარმონია იგრძნობა ადამიანსა და ბუნებას შორის.

თეატრალიზებული საღამოს წარმატება

საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და ა. იაბლოჩკინას სახელობის საკავშირო თეატრალური საზოგადოების მსახურების ცენტრალური სახლის თანაწონობით გაიმართა საღამო დეკანოზი: „მუსიკა, პოეზია, ფერწერა“. მაყურებლებს თავისი ხელოვნება უჩვენა მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტების XII მსოფლიო ფესტივალის დიპლომანტმა — თეატრალიზებულმა ანსამბლმა (მხატვრული ხელმძღვანელი და კომპოზიციების ავტორი — ლ. მიქავა). საღამოში მონაწილეობდნენ რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ა. კორნეევი, მსახიობი ს. მარკიჩევი, კვარტეტი „ფიროსმანი“ თ. ზაალიშვილის, ნ. კაპანაძის, მ. მკურავიშვილის და ო. ჩიტაიას შემადგენლობით, მოსკოვის მაიაკოვსკის სახელობის თეატრის მსახიობი ე. ვიტორგანი. პროგრამაში იყო „ძველი ალბომის ფურცლები“ და „ძველი თბილისის სერენადა“. აყოლიერდა შოპენის, დებიუსის, ზ. ფალიაშვილის, ა. მაჭავარიანის და ს. ნასიძის მუსიკა; ე. ვიტორგანმა წაიკითხა შელის, ვერლენის, რილკეს და სხვათა ლექსები.

დ. მაჰაკმარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

„კომუნისტის“ რეიდი

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

მამის ნაყიდი ავტომობილები

მგლის თავზე სახარბას კითხულობენო — ეს ბრძნული ნათქვამი ამჟამად მკითხველის ამაო შრომაზე მიუთითებს, რადგან რამდენიც არ უნდა უკითხო სახარება, მგლები მგლობას მაინც არ მოიშლიან. არაერთგზის დაეწერეთ ამის შესახებ: „მამამ ავტომობილანა“, „გავუფრთხილდეთ ახალგაზრდობის სიცოცხლეს“, მაგრამ რა გამოვიდა, მამები კვლავ ყიდულობენ ავტომობილებს... შვილებმა უფრო მეტი დანაშაული ჩაიდინეს, არღვევენ გზებზე მოძრაობის წესებს, ახდენენ ავტოავარიებს, ასე მიემატა ერთ დარღვევას მეორე. ამ გზით შევიდნენ მაგისტრალებზე მამიკოს ნაყიდი ავტომობილებით დამწყები ავტომფლობელები.

არა მარტო მამიკოებისა და დედიკოების ნაყიდი ავტომანქანების საქეს უსხედან ყმაწვილები, თურმე, თქვენ წარმოიდგენთ, ბიძებიც არ აკლებენ ზრუნვასა და მოფერებას. მამუკა საგინაშვილი თბილისში ბარნოვის ქუჩის მეოთხე ჩიხის № 20 სახლში ცხოვრობს, მაგრამ რატომღაც საგარეჯოს მეოთხე საშუალო სკოლა დაამთავრა წელს: მას ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წელი არ შესრულებია და, რა თქმა უნდა, ავტომობილის მართვის მოწმობა არა აქვს, მაგრამ ეს სრულებით არ ადარდებს „წყალსაფენმასალების“ ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა ლილოს ქარხნის საამქროს უფროსს იაკობ სიბოშვილს, რომელმაც მოსწრებულ დისწულს საჭირითოდ საკუთარი „ჟიგული“ მისცა. ვინ იცის, მის ორ თანატოლთან ერთად რა ხიფათს გადაეყრებოდა, სოფელ პატარძეულთან ავტოინსპექციის თანამშრომლებს მამუკა საქმიდან რომ არ გადმოესვათ. ნუთუ შვილს საქციელი და ბედი არ აწუხებს მამას — თამაზ საგინაშვილს, რომელიც საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს. ამოდენა ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე კაცს საკუთარი ოჯახისა და შვილის მიმართ მეტი ყურადღება მართებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. კახაბერ ეზაგაია. კარგა ხანია მას პირად მფლობელობაში „ჟიგული“ ჰყავს, რომელსაც ავტომობილის მართვის მოწმობის გარეშე დაატარებს. საიდან, რა სახსრებით იყიდა სტუდენტმა მსუბუქი ავტომობილი. რას იტყვის ამის შესახებ მისი მამა, უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოს ტექნოლოგი შოთა ეზუგაია. იგი აქედანვე რატომ არ ეკითხა შვილს უშრომელი შემოსავლისადმი სიყვარულს? ასევე პირად საკუთრებაში აქვს ახალი ახალი მოდიფიკაციის „ჟიგული“ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტს გიორგი ბეკაშვილს, რომლის მამა ელადმცერი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მუშაობს.

მამიკოებმა მსუბუქი ავტომანქანები იყიდეს და თავიანთ სახელზე გააფორმეს, მაგრამ ამ ძვირადღირებულ ნივთებს ეროვნული ბანკიდან ანგარიშსწორებისას „ეგზეკუციის“ ბარათებიც ერთვოდა. ეს ბარათები ბანკმა ადგილობრივ ფინანსურ ორგანოებს გადასცა. ეს ორგანოებიც ბანკის ბარათებს ადგენენ, ადგენენ, ადგენენ... ეს ბარათები ბანკიდან ბანკამდე ერევა, ბანკიდან ბანკამდე ერევა, ბანკიდან ბანკამდე ერევა